ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №210

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 5 ივლისი, 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი" წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ნიკოლაიშვილის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის N2416 განკარგულების და სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის ნინო კიკაბიძის N6000708619 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველმა" „მიმწოდებლისგან" მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით - 50421000 - სამედიცინო აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება - გათვალისწინებული ჰისტოლოგიური პრეპარატების ჩასაყალიბებელი აპარატის Leica EG 1150H შეკეთების შესყიდვაზე, საერთო თანხით 600 (ექვსასი) ლარი დღგ-ის ჩათვლით (შემდგომში - ,,ხელშეკრულების ღირებულება").

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებამდე, არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.
6. ხელშეკრულება შედგენილია 08 გვერდზე და დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ორივე მხარის მიერ.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	შპს "მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84	მის: ქ. თბილისი,
ტელ: (995 32) 2 25 84 84	ბელიაშვილის ქ. 83
	ტელ:+995 32 2 532 036
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს ,, საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	კოდი: BAGAGE22;
სახაზინო კოდი: 707767126	ა/ა GE20BG0000000119160100
ს/კ 204852089	ს/კ 202059725
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
გიორგი მუმლაძე	**გიორგი ნიკოლაიშვილი**

Giorgi Mumladze

Digitally signed by Giorgi Mumladze
Date: 2019.07.05 19:00:21 +04'00'

LLC Advanced Medical Technologies and Service

Digitally signed by LLC Advanced Medical Technologies and Service
DN: cn=LLC Advanced Medical Technologies and Service, 2.5.4.97=NTRGE-202059725, o=[illegible], c=GE
Date: 2019.07.05 15:38:32 +04'00'

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - „ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებენ ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი - მაია გოგიტაური;

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა, შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში;

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბიუროს ბალანსზე რიცხული ,, Leica EG 1150H “-ის ფირმის ჰისტოლოგიური პრეპარატების ჩასაყალიბებელი აპარატის შეკეთება.

4.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2019 წლის 16 ივლისისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას N23.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. გაწეული მომსახურების მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებენ 3.1 პუნქტით გათვალისწინებული - უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებსა და მოქმედ სანიტარულ ნორმებს.

6.2 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით, რომელიც დაიქვითება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ მე-12 მუხლის 12.1 ან 12.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

The Pathology Company

Leica
BIOSYSTEMS

Certification of Training

This certifies that

Giorgi Elizbarashvili

has successfully completed the training course

LBS NUS - Online Service Course HistoCore Arcadia C & H

Instructor: **Peter Richter** **7th December 2018**

Leica

BIOSYSTEMS

პათოლოგიის კომპანია

ტრენინგის სერთიფიკატი

გაცემულია მასზედ, რომ

გიორგი ელიზბარაშვილმა

წარმატებით დაასრულა ტრენინგ კურსი

LBS NUS - ონლაინ მომსახურების კურსი HistoCore Arcadia C & H

ინსტრუქტორი: პიტერ რიჩტერი 7 დეკემბერი, 2018

თარგმანი სწორია
ПЕРЕВОД ВЕРЕН
THIS IS TRUE AND CORRECT TRANSLATION
Connect
E-mail: a.aronishidze@gmail.com

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190748108
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.06.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე მარშანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	65629180445219

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, ქ.თბილისი 27.06.2019

მე, ნოტარიუსი **ეკატერინე მარშანია** ქ. თბილისში, ვადასტურებ ინგლისური ენის მთარგმნელის, **ანა არონიშიძის** (პირადი ნომერი № 01003009708 დიპლომი B # 09914 ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.
გადახდევინებულია საზღაური: 2.00 (ორი) ლარი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, მუხლი 31.3, ასევე დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი, 2.00 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად მუხლისა 39.1, სულ გადახდილია 4.36 ლარი.

Tbilisi, 27.06.2019

I, Ekaterine Marshania, Notary, in the City of Tbilisi certify authenticity of the signature of English language translator Ana Aronishidze (personal # 01003009708, Diploma B # 09914).
Translator is warned about her responsibility for the accuracy of the translation and she guaranties the same.
Notary fee is collected: 2.00 (two) Gel, according to the Decree of the Government of Georgia #507, dated December 29, 2011 - "Fees and duties, payment and service terms verified for the Notary Chamber of Georgia" - Articles 31.3, and VAT 0.36 (thirty six) tetri and 2.00 (two) Gel for e-registration, according to the Article 39.1. Total collected: 4.36 Gel.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია .....
Notary Ekaterine Marshania